

რეგისტრირებულია საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო
დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო
ინსპექციის უფროსის
ბრძანებით №7052/006-5/5-12ს/ს
23.08.2006წ.

მიღებულია სს „საქართველოს ფასიანი
ქაღალდების ცენტრალური
დეპოზიტარის“ აქციონერთა კრების
მიერ 2006 წლის 19 მაისს,
(ოქმის სანოტარო რეესტრში
რეგისტრაციის №1-459)

სააქციო საზოგადოება
„საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური
დეპოზიტარის“

წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

თბილისი
2006წ.

I. ზოგადი დებულებები

- 1.1. "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" არის სააქციო საზოგადოება. მისი სრული სახელწოდებაა:
ქართულად – **სააქციო საზოგადოება "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი"**.
ინგლისურად – **"Georgian Central Securities Depository "**.

მისი შემოკლებული სახელწოდებაა:
ქართულად – „ცენტრალური დეპოზიტარი“
ინგლისურად – „**Central Depository**“

აბრევიატურა:
ქართულად – **"სფქცდ"**;
ინგლისურად – **"GCS D "**.
- 1.2. თავისი სტატუსით სააქციო საზოგადოება "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" (შემდგომში – "ცენტრალური დეპოზიტარი") წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.
- 1.3. თავის საქმიანობაში ცენტრალური დეპოზიტარი ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით და მისი, როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესებით.
- 1.4. ცენტრალური დეპოზიტარის ადგილსამყოფელია:
ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის 74ა.
- 1.5. ცენტრალური დეპოზიტარის აქციონერებს ეკრძალებათ მოგების განაწილება.
- 1.6. სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

II. ცენტრალური დეპოზიტარის მიზნები და ამოცანები

- 2.1. ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მისი მონაწილეების (წევრების) მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობა და ფასიანი ქაღალდების კლირინგისა და ანგარიშსწორების უზრუნველყოფა, საქართველოს კანონმდებლობითა და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის (შემდგომში კომისიის) მიერ განსაზღვრული სხვა მომსახურების გაწევა.
- 2.2. ცენტრალური დეპოზიტარის, როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაციის, მიზნებია, აგრეთვე:

- 2.2.1. წესების მომზადება თავისი მონაწილეებისთვის (წევრებისათვის) და ამ წესების დაცვისა და შესრულების კონტროლი;
- 2.2.2. შინაგანაწესსა და წესებში ან წესდებაში მოცემული სანქციების გამოყენება თავისი წევრების მიმართ ცენტრალური დეპოზიტარის წესების დარღვევის შემთხვევაში.
- 2.3. ძირითადი მიზნის მისაღწევად ცენტრალური დეპოზიტარის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:
 - 2.3.1. საკუთარი წესების თანახმად, მის ნომინალურ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის სისტემის მთლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
 - 2.3.2. ნომინალური ფლობის, კლირინგისა და ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად, საკუთარი წესების შესაბამისად, გახსნას, ამოქმედოს და დახუროს ფასიანი ქაღალდების და ფულადი ანგარიშები;
 - 2.3.3. წევრების მიერ ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის ინსტრუქციებისა და წესების დაცვის კონტროლი;
 - 2.3.4. წევრთა და კლიენტების ფასიანი ქაღალდების ანგარიშების წარმოების მიზნით სხვა მომსახურების უზრუნველყოფა;
 - 2.3.5. კლირინგის და ანგარიშსწორების შედეგების და ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ, მისი წესების შესაბამისად მონაწილეებისთვის ამონაწერის მიცემა;
 - 2.3.6. ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა ანგარიშსწორების პირობებთან დაკავშირებულ მონაცემთა შედარებისათვის, ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფა;
 - 2.3.7. მონაწილეთა დავალებით ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან დაკავშირებული კლირინგი და ანგარიშსწორება.
- 2.4. ცენტრალური დეპოზიტარს ეკრძალება ნებისმიერი საქმიანობა, გარდა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და კომისიის წესებით განსაზღვრული სხვა საქმიანობისა.

III. საწესდებო კაპიტალი

- 3.1. ცენტრალური დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 110 000 (ას ათი ათას) ლარს.
- 3.2. ცენტრალური დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 110 000 (ას ათი ათას) ცალ ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთ) ლარს.

IV. აქციონერის უფლება-მოვალეობანი

4.1. აქციონერს გააჩნია შემდეგი უფლებები:

4.1.1. ცენტრალური დეპოზიტარის აქციები გაასხვისოს მხოლოდ კანონმდებლობითა და კომისიის წესებით განსაზღვრულ პირობებზე მოქმედი კანონმდებლობის და ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მიღებული წესების შესაბამისად;

4.1.2. მიიღოს ინფორმაცია ცენტრალური დეპოზიტარის აღრიცხვის და კონტროლის მდგომარეობის შესახებ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4.1.3. ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოში წარადგინოს საბჭოს წევრობის კანდიდატები;

4.2. აქციონერს გააჩნია შემდეგი მოვალეობები:

4.2.1. უზრუნველყოს ცენტრალური დეპოზიტარის წესდების მოთხოვნების დაცვა;

4.2.2. დაიცვას ტექნიკური, ტექნოლოგიური და კომერციული ხასიათის ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ცენტრალურ დეპოზიტარს, მის წევრებსა და მათ კლიენტებს;

4.2.3. ხელი შეუწყოს ცენტრალური დეპოზიტარის საწესდებო ამოცანების შესრულებას, დაიცვას მისი ინტერესები და იზრუნოს მისი ფინანსური მდგარადობის, ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლებაზე.

4.3. აქციითა გადაცემაზე თანხმობას იძლევა გენერალური დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

V. აქციონერთა საერთო კრება

5.1. ცენტრალური დეპოზიტარის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება, სულ ცოტა წელიწადში ერთხელ. შესაძლებელია მოწვეული იქნეს რიგგარეშე კრებაც. კრების მოწვევა ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ წესდების შესაბამისად.

5.2. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია:

5.2.1. დაამტკიცოს ცენტრალური დეპოზიტარის წესდება და მასში შესატანი ცვლილებები;

5.2.2. მიიღოს გადაწყვეტილება ცენტრალური დეპოზიტარის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

- 5.2.3. მიიღოს გადაწყვეტილებები ცენტრალური დეპოზიტარის ქონების შექმნის, გასხვისების ან გაცვლის გარიგებების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ, რომლებიც შორდება ჩვეული საქმიანობის ფარგლებს და რომელთა ღირებულებაც შეადგენს ცენტრალური დეპოზიტარის ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა ამ წესდების 6.9.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- 5.2.4. აირჩიოს (დანიშნოს) ან გამოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;
- 5.2.5. დაამტკიცოს ღირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
- 5.2.6. აირჩიოს (დანიშნოს) მოსმენის კომიტეტის მსახურელები და განსაზღვროს მათი კომპეტენცია;
- 5.2.7. აირჩიოს აუდიტორი;
- 5.2.8. მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის, დაამტკიცოს ცენტრალური დეპოზიტარის ეთიკის და დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსები, დავების განხილვის წესი, დებულება წევრთა შესახებ, წევრთათვის დადგენილი საწევრო შესატანების ოდენობა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 5.3. აქციონერთა საერთო კრებაზე ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქვოტების შესაბამისად, გარდა ამ წესდების 5.2.1., 5.2.2. და 12.2 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 5.3.1. ამ წესდების 5.2.1., 5.2.2. და 12.2. მუხლების მიხედვით გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საერთო კრებაზე დამსწრე აქციონერთა ხმების 3/4-ზე მეტი, მაგრამ არა ნაკლებ ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის.

VI. სამეთვალყურეო საბჭო

- 6.1. ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი წევრისაგან. იგი აირჩევა ოთხი წლის ვადით.
- 6.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი ან სხვა პასუხისმგებელი აღმასრულებელი პირი.
- 6.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ცენტრალური დეპოზიტარის საქმეებს უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია ცენტრალური დეპოზიტარისთვის. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ზიანისთვის იგი პასუხს აგებს ცენტრალური დეპოზიტარის წინაშე.

- 6.4. სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.
- 6.5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი ერთი სხვა წევრით.
- 6.6. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას - მოადგილეს) შეუძლია, სულ მცირე, რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არნაკლებ 25%. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას - მის მოადგილეს) შეუძლია, სულ მცირე რვა დღის ვადაში მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.
- 6.7. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს გამოცხადებულ ან წარმოდგენილ წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მიიღება ის გადაწყვეტილება, რომელსაც მხარს დაუჭერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრი, რომლის საწარმოს ან პირადი საკითხიც იხილება, კენჭისყრაში არ მონაწილეობს.
- 6.8. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობებია:
- 6.8.1. მიიღოს, უარყოს ან შეასწოროს ცენტრალური დეპოზიტარის წესები ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ, სხვა წესები და შინაგანაწესი კომისიასთან შეთანხმებით, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად.
- 6.8.2. მოახდინოს უფლებამოსილების დელეგირება ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორზე, წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად, მისცეს მას ცალკეული დავალებები;
- 6.8.3. განმარტოს ცენტრალური დეპოზიტარის წესები;
- 6.8.4. დანიშნოს და გაათავისუფლოს ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორი, დადოს ან შეწყვიტოს მასთან სასამსახურო ხელშეკრულება;
- 6.8.5. დაამტკიცოს ცენტრალური დეპოზიტარის ორგანიზაციული სტრუქტურა, საშტატო განრიგი და მასში შეტანილი ცვლილებები;
- 6.8.6. მიიღოს გადაწყვეტილება ახალი წევრის მიღებისა და წევრობის შეწყვეტის შესახებ;

6.8.7. მიიღოს გადაწყვეტილება წევრის ფასიანი ქაღალდების და ფულადი ანგარიშების დახურვის შესახებ ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად;

6.8.8. კონტროლი გაუწიოს გენერალური დირექტორის საქმიანობას;

6.8.9. მოითხოვოს გენერალური დირექტორისაგან ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის ანგარიში;

6.8.10. გააკონტროლოს და შეამოწმოს ცენტრალური დეპოზიტარის საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები;

6.8.11. წარუდგინოს მოხსენება წლიური ანგარიშის შესახებ აქციონერთა საერთო კრებას;

6.8.12. მიიღოს გადაწყვეტილება ცენტრალური დეპოზიტარის წევრებისთვის ცენტრალურ დეპოზიტარში საქმიანობის ან ფუნქციების შეჩერების თუ შეზღუდვის, საყვედურის გამოცხადების, დაჯარიმების და სხვა შესაბამისი სანქციების გამოყენების შესახებ;

6.8.13. მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.9. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს:

6.9.1. საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

6.9.2. ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;

6.9.3. უძრავი ქონებისა და მისი მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა ან იჯარით გაცემა;

6.9.4. ინვესტიციების დაბანდება ან ამოღება, რომელთა ოდენობა ცალკე ან სამეურნეო წლის განმავლობაში აღემატება გასული წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით ცენტრალური დეპოზიტარის მთელი ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს;

6.9.5. სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას.

6.9.6. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;

6.10. თავის უფლებამოსილებათა უკეთ განხორციელებისათვის ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია თავისი შემადგენლობიდან შექმნას კომისიები.

6.11. სამეთვალყურეო საბჭოს კომისია შეიმუშავებს თავის დებულებას და ირჩევს თავმჯდომარეს.

- 6.12. სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს მისი კომისიების დებულებებს და მათ თაემჯდომარეებს.
- 6.13. სამეთვალყურეო საბჭოს კომისიას ევალება მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს მისი კურირების სფეროში არსებულ საკითხებს, ჩაატაროს კონსულტაციები ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორთან და დროულად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამის საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები.
- 6.14. სამეთვალყურეო საბჭოს კომისიას არა აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება ან მისცეს რაიმე დავალება ცენტრალური დეპოზიტარის გენერალურ დირექტორს.
- 6.15. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შეუძლია იყოს საბჭოს შემადგენლობიდან შექმნილი რამოდენიმე კომისიის წევრი ერთდროულად.
- 6.16. სამეთვალყურეო საბჭოს არ შეიძლება გადაეცეს გენერალური დირექტორის ფუნქციები.

VII. გენერალური დირექტორი

- 7.1. ცენტრალური დეპოზიტარის გენერალური დირექტორის ფუნქციებში შედის:
 - 7.1.1. ცენტრალური დეპოზიტარის დირექციის შტატის ჩამოყალიბება და მის მუშაკთა თანამდებობრივი კომპეტენციის განსაზღვრა;
 - 7.1.2. ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის ორგანიზება და ოპერატიული მართვა;
 - 7.1.3. ცენტრალური დეპოზიტარის სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერა მინდობილობის გარეშე;
 - 7.1.4. ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილეთათვის ანგარიშების დროებით შეჩერება, სხვა სანქციების დაკისრება ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად;
 - 7.1.5. ცენტრალური დეპოზიტარის აქციონერთა კრებაზე და სამეთვალყურეო საბჭოზე სამეურნეო საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება;
 - 7.1.6. ცენტრალური დეპოზიტარის აქციონერთა საერთო კრების მოწვევა.
- 7.2. დირექციის სხვა თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს გენერალური დირექტორი.
- 7.3. გენერალური დირექტორი ცენტრალური დეპოზიტარის საქმეებს უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი

სადად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია ცენტრალური დეპოზიტარისთვის. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისთვის წარმოშობილი ზიანისათვის იგი პასუხს აგებს ცენტრალური დეპოზიტარის წინაშე.

VIII. ცენტრალური დეპოზიტარის წევრები

- 8.1. ცენტრალური დეპოზიტარის წევრები შეიძლება გახდნენ მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ცენტრალური დეპოზიტარის მოთხოვნებს, აღიარებენ მის წესდებას, წესებს, მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებებს და გაფორმებული აქვთ მასთან წევრობის შესახებ ხელშეკრულება;
- 8.2. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ;
- 8.3. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია:
 - 8.3.1. აირჩიოს ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა კომიტეტი;
 - 8.3.2. შეიმუშაოს რეკომენდაციები ცენტრალური დეპოზიტარის წესებში ცვლილებების და დამატებების შეტანაზე, რომელიც გადაეცემა წევრთა კომიტეტს.
- 8.4. ცენტრალური დეპოზიტარის დირექტორი ან წევრთა კომიტეტი ცენტრალური დეპოზიტარის დირექტორის მეშვეობით წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ 2 კვირით ადრე წერილობით აცნობებს მის ყველა წევრს.
- 8.5. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 50%-ზე მეტი. კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
- 8.6. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა საერთო კრების ჩატარების რეგლამენტი, მასზე საკითხების გატანის და გადაწყვეტის წესი რეგულირდება ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა საერთო კრების დებულებით, რომელსაც შეიმუშავენ წევრთა კომიტეტი და ამტკიცებს წევრთა საერთო კრება.

IX. წევრთა კომიტეტი

- 9.1. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა კომიტეტი არის ორგანო, რომელიც შეიმუშავებს და აწვდის რეკომენდაციებს ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს.
- 9.2. ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა კომიტეტი შედგება ხუთი წევრისაგან.
- 9.3. წევრთა კომიტეტი აირჩევა ცენტრალური დეპოზიტარის წევრთა საერთო კრების მიერ.

9.4. წევრთა კომიტეტი შეიმუშავებს თავის დებულებას ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით.

X. ცენტრალურ დეპოზიტარში წარმოშობილი ქონებრივი დაგების განხილვა

10.1. ცენტრალურ დეპოზიტარში წარმოშობილი ქონებრივი დაგები განიხილება სს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის" დაგების განხილვის წესების შესაბამისად.

XI. შემოსავლები

11.1. ცენტრალური დეპოზიტარის შემოსავლები იქმნება:

11.1.1. აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილი საწევრო შენატანებისგან, ასევე საკომისიო და სხვა გადასახდელებისგან, რომელთა ოდენობასაც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო;

11.1.2. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

11.2. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისა და სხვა ვალდებულებების გასტუმრების შემდეგ დარჩენილი მოგება გადადის ცენტრალური დეპოზიტარის სრულ განკარგულებაში და არ ექვემდებარება დივიდენდების სახით განაწილებას.

XII. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

12.1. ცენტრალური დეპოზიტარის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა აქციონერთა საერთო კრებაზე დამსწრე აქციონერთა ხმების 3/4-ზე მეტი, მაგრამ არა ნაკლებ ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის.

12.2. ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესახებ, ცენტრალურმა დეპოზიტარმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს კომისიას.

12.3. ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის ჩამორთმევის შემთხვევაში დგება საკითხი მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

12.4. ცენტრალური დეპოზიტარის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ცვლილები „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური
დეპოზიტარის“ ეტიკის კოდექსში

1. I მუხლში სიტყვები „მონაწილეებმა (შემდგომში – „წევრები“) შეიცვალოს სიტყვით „წევრები“;
2. 5.1 პუნქტში სიტყვები „მონაწილეობის (წევრობის)“ შეიცვალოს სიტყვით „წევრობის“;
3. 5.2 პუნქტში სიტყვა „დირექტორები“ შეიცვალოს სიტყვებით „გენერალური დირექტორი“;
4. 8.1 პუნქტს დაემატოს 8.1.13 და 8.1.14 ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„8.3.1. წევრის, დეპოზიტარის ან სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციის იმიჯისა და რეპუტაციის შემლახველი, აგრეთვე არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება;

8.3.2. წევრის მიმართ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული შეურაცხმყოფელი განცხადების გაკეთება და/ან ქმედება“.

ცვლილებები დებულებაში „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ წევრთა შესახებ

1. დებულების ტექსტსა და მის დანართებში აბრევიატურა „შპს“ შეიცვალოს აბრევიატურით „სს“, ხოლო სიტყვა „პარტნიორი“ – სიტყვით „აქციონერი“.
2. დებულების ტექსტსა და მის დანართებში (დებულების 2.2, 2.10, 3.1.7, 4.1, 4.4, 5.2 და 5.4 პუნქტებში, დანართი №1-ის პრეამბულასა და დანართი №2-ის XI მუხლში) სიტყვა „დირექტორის“ წინ დაემატოს სიტყვა „გენერალური“.
3. დებულების ტექსტსა და მის დანართებში სიტყვა „მონაწილე“ ან სიტყვები „მონაწილე (წევრი)“ შეიცვალოს სიტყვით „წევრი“.
4. დებულების 6.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დეპოზიტარის წევრები იხდიან საწევრო შესატანებს (დანართი №3) და სხვა გადასახდელებს დეპოზიტარის მიერ დადგენილი მომსახურების ტარიფების შესაბამისად.“

5. დებულების 6.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საწევრო შენატანები, გადასახდელები და ჯარიმები დეპოზიტარის მიერ მოიხსნება წევრის კლირინგისა და ანგარიშსწორების მომსახურებისთვის გახსნილი ანგარიშიდან მფლობელთან შეთანხმებით, ან მასთან შეთანხმების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ეს გადასახდელები გადახდილი არ იქნება დადგენილ ვადებში.“

6. დებულების დანართი №2-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელშეკრულება წევრობის შესახებ“

7. დებულების დანართი №2-ის (ხელშეკრულება) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წევრობის კანდიდატი ხდება ცენტრალური დეპოზიტარის წევრი და იღებს ვალდებულებას განუხრელად შეასრულოს დეპოზიტარის წესდებითა და წესებით დადგენილი ნორმები და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.“

8. დებულების დანართი №3 (სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ წევრთათვის დადგენილი გადასახდელები და ჯარიმები) შეიცვალოს და დამტკიცდეს თანდართული ფორმით (იხ. დანართი).

**ცვლილებები „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური
დეპოზიტარის“ დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსში**

1. კოდექსის ტექსტში (4.1, 4.2, 4.3, 15.3 და 16.4 პუნქტებში) სიტყვა „*დირექტორის*“ წინ დაემატოს სიტყვა „*გენერალური*“.

